

განახლებულია 30.09.2024წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი/Analysis of Natural Compounds
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქიმიის დოქტორი/Doctor of Chemistry
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მაია ვანიძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: maia.vanidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, მათ შორის, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</li> <li>✓ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტები მიიღება კონკურსის წესით, უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურების/უცხო ენის გამოცდის და სპეციალობის გამოცდის (გასაუბრების) შედეგების გათვალისწინებით.</li> <li>✓ სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულებების ფარგლებში მზადდება სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა (შემდეგში კვლევითი პროექტი), დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით. სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობები (კვლევითი პროექტ(ებ)ი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე სამი თვით ადრე და პროგრამის განმაცხორციელებელი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ.სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევითი პროექტ(ებ)ის შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს ინიცირებით, აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ კონტიგენტს (ასევე მოზილობის/შიდა მოზილობის კონტიგენტს, საჭიროების შესაბამისად).</li> <li>✓ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება (კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი) ა)საკვლევი მიმართულების შესაბამისი ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი პროფესიული გამოცდილება;</li> </ul>

	<p>ბ)კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობა (შედგენილი ამ დებულებაზე თანდართული N2 ფორმის შესაბამისად);</p> <p>გ)ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან სხვა, დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე; იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა;</p> <p>დ)დოქტორანტობის იმ კანდიდატს, რომლისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა - ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (რომლის შესაბამისობას ადგენს/აფასებს უცხო ენის საგამოცდო კომისია) ან ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ბსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარება.</p>
<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სამეცნიერო კვლევების გააქტიურების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ქიმიური კვლევის განხორციელებას თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებით;</li> <li>✓ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, დოქტორანტის კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბება, რომელიც თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით დამოუკიდებლად დაგეგმავს და განახორციელებს კვლევებს;</li> <li>✓ შეძლებს წარმატებით განახორციელოს სწავლების პროცესი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;</li> <li>✓ შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებით და ინოვაციური კვლევების განხორციელებით. ქიმიის მიმართულებით კვლევების სისტემური და კრიტიკული გააზრებით აამაღლებს სამეცნიერო საქმიანობის ხარისხს და მოახდენს მათ ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში;</li> <li>✓ შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გაანალიზების, სინთეზის, შეფასებისა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვის უნარს;</li> </ul>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდები, რომელიც მოიცავს ნაერთების შედგენილობისა და სტრუქტურის დადგენის, თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ქიმიურ, ფიზიკო-ქიმიურ და თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებს; ბუნებრივ ნაერთთა მონაწილეობით მიმდინარე ქიმიური რეაქციები და მათი მიმდინარეობის მექანიზმები;</li> <li>✓ გაცნობიერებული ექნება უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა ქიმიის მიმართულებით, რაც მისცემს არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას;</li> <li>✓ ქიმიაში ახლებური კვლევითი და ანალიზური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავების უნარი, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; ქიმიაში უახლესი მეთოდების გამოყენებით კვლევის ჩატარების, მიღებული შედეგებისა და დაგროვილი ცოდნის საფუძველზე</li> </ul>

	<p>გაანალიზების, გაცნობიერებისა და საჭიროების შემთხვევაში მეცნიერული შედეგების განზოგადებისა და კრიტიკულად გადაფასების და შედეგების პრაქტიკაში დანერგვის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს ინოვაციური კვლევა ქიმიაში; კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, ადაპტირება გაუკეთოს ან შეიმუშაოს ახალი კვლევითი და ანალიზური მეთოდები; აწარმოოს აქტიური კვლევა; პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნა და მეცნიერული გამოცდილება გამოიყენოს ახალი კვლევების ჩატარებასა და ანალიზში;</li> <li>✓ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოამზადოს პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემებისათვის; ქიმიის დარგში თავისი კვლევის შედეგების შესახებ კომუნიკაციას ქართველ და უცხოელ მეცნიერთან; თავისი შეხედულებების, იდეების მეცნიერულად დამტკიცებას და პოლემიკაში ჩართვას ქიმიის სპეციალისტებთან; სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე საკუთარი კვლევის შედეგების დამაჯერებლად წარდგენას; სადავო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მულტიმედიის გამოყენებით; ახალი ცოდნის დასაბუთებულად წარმოჩენას არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში; ქიმიური მეცნიერებების, როგორც სისტემის, ცალკეული დარგის, ქვედარგისა თუ დარგთაშორისი სფეროების უახლეს მეცნიერულ მიღწევათა გააზრებას;</li> <li>✓ ქიმიკოს მკვლევართა ჯგუფის ეფექტურ ხელმძღვანელობას, ამოცანების მკაფიო ფორმულირებას და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადექვატურ გამოყენებას; პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. პრობლემის გადაჭრისათვის ახალი, ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას წინააღმდეგობრივი იდეების შეჯერების, გაანალიზებისა და კვლევის ახალი, ადაპტირებული თუ გაუმჯობესებული მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას;</li> <li>✓ სწავლის პროცესის დაგეგმვას, მართვას და ცოდნის გადაცემას უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტებისათვის.</li> </ul>
--	--